	გამოვლენილი ეკონომიების ან/და დამატებითი ფინანსების მოძიების ხარჯზე დაემატება სხვა მისამართებზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა. 2. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქალაქში არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა, რაც გულისხმობს სკვერებში დასასვენებელი სივრცეების რეაბილიტაციას, დასასვენებელი სკამების აღდგენას და ახალი სკამების დამატებას, სანაგვე ურნების დადგმას და სანათების აღდგენას.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები, მოსახლეობისთვის გაჩენილი მიმზიდველი და კომფორტული დასასვენებელი გარემო, ასევე სუფთა და ჯანსაღ გარემოში გატარებული დრო.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება

	რუსთავის მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული საზოგადოებრივი სივრცეების რაოდენობა	2018 წელს მოხდებოდა 7 ლოკაციაზე სკვერის მოწყობა/რეაბილიტაცია. აქედან 2 დასრულებულია ხოლო 5 დასრულდება 2019 წელს.	2019 წელს დაგეგმილია დამატებით 12 ლოკაციაზე სკვერის მოწყობა/რეაბილიტაცია და ასევე 2018 წლიდან გადმოსული 5 სკვერის დასრულება.	5%	ქვეპროგრამას ახორციელებს მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური. 2019 წელს 10 ლოკაციაზე სკვერი მოეწყობა საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოში, ხოლო 2 ლოკაციაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია იგეგმება. ასევე დასრულდება 2018 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5 სკვერი
	დამზადებული სკამების რაოდენობა	28	100	2%	ქვეპროგრამას ახორციელებს ააიპ "რუსთავესერვის ცენტრი"

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში		
	02 06 02		2019 წელი	509,2	
			2019-2022 წელი	2 449,2	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობები ფასადების სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია. რეგიონალური განვითარების ფონდიდან იგეგმება დაფინანსება 2 375 ათ. ლარზე, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 499,2 ათ. ლარზე. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები. 1) კოსტავას გამზირის ფასადების გაგრძელების რეაბილიტაცია. 2) ქალაქ რუსთავში ჩეხოვის ქუჩა #6-8-ა-10 გრანელის ქუჩა #23-25 საცხოვრებელი სახლის დაზიანებული ფასადების და ქ. რუსთავში გრანელის ქუჩა #7-9-11 და გიორგაძის ქუჩა #8 ტკეპისკედლებიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია შეიქმნას სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება კოსტავას ქუჩის დარჩენილი ნაწილის ფასადების სრული რეაბილიტაცია, შეღებვა, ფანჯრების და შესასვლელი კარების შეცვლა და სხვა, ხოლო რაც შეეხება ჭყონდიდელის დასახლებაში არსებული დაზიანებულ ფასადიან შენობებს, პროექტის ფარგლებში მოხდება დაზიანებული კედლების აღდგენა, შელესვა და შეღებვა. პროგრამის განხორციელების შედეგად შექმნილი იქნება სუფთა კომფორტული და მიმზიდველი გარემო ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და ქალაქის ვიზიტორებისათვის, წახალისებული ადგილობრივი მოსახლეობა ეკონომიკური საქმიანობის კუთხით, გაზრდილი ინვესტიციები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება

რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების ფასადები	2018 წლის ბოლომდე რეაბილიტირდა 1 მისამართი	2019 წელს მოხდება 24 მისამართზე ფასადის რეაბილიტაცია	5%	2019 წელს დაგეგმილი პროექტი კოსტავას ფასადების რეაბილიტაცია წარმოადგენს 2016 წელს განხორციელებული პროექტის გაგრძელებას, რომლის ფარგლებშიც რეაბილიტირდება 14 მისამართის ფასადი, 10 მისამართი ჭყონდიდელის დასახლებაში.
---	---	--	----	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარებში		
	02 06 03		2019 წელი	66,0	
			2019-2022 წელი	264,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ "რუსთავერვის ცენტრი"				
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს, განსაკუთრებით რუსთაველაქობის და საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. შესაბამისად საჭიროა ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებებით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმების სამუშაოები. მოირთვება თავისუფლების მოედანი, კოსტავას გამზირი 1-23 და 2-22 ნომერი შენობების აივნები,მერიიდან ხიდანდე ზოძების კონსტრუქციები,ხიდი, გონაშვილის სკვერი.გამყოფი ზოლი იუსტიციის სახლიდნ ქუთაისის მოედნამდე, თოდრიას ქუჩა, კლდიაშვილის ქუჩა, ჭყონდიდელის დასახლება, რუსთაველის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა,კოსტავას გამზირი მერიიდან მეტალურგიულ ქარხნამდე. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება : ქალაქის ტერიტორიაზე საახალწლო ნათურების მონტაჟი. ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები. ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე საახალწლო დეკორატიული ილუსტრაციების მონტაჟი/დემონტაჟი, სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის ქალაქის გაფორმებას.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	საახალწლო დეკორაციებით მორთული ქუჩები	2018 წელს გაფორმებული ქუჩა 12	2019 წელს გაფორმებული ქუჩა 15	7%	

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	02 07		2019 წელი	830,0
			2019-2022 წელი	3 680,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება -" რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო"			
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შპს " რუსთავის მინიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოს" დაფინანსება. რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა მუნიციპალურ ტრანსპორტს, საიდანაც ხორციელდება საწარმოს ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ხელფასებს და საწვავს. რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოში მუშაობს 20 ავტობუს: №1 ავტობუსზე მუშაობს 3 ავტობუსი. №2 ავტობუსზე მუშაობს 3 ავტობუსი. №4 ავტობუსზე მუშაობს 3 ავტობუსი. №5 ავტობუსზე მუშაობს 4 ავტობუსი. №6 ავტობუსზე მუშაობს 2 ავტობუსი. №7 ავტობუსზე მუშაობს 4 ავტობუსი. ფოლადანთ კარი 1 ავტობუსი. სულ დასაქმებულია 105 თანამშრომელი; აქედან 51 მღოლი, ავტოპარკს ემსახურება 30 თანამშრომელი და ადმინისტრაციაში არის 24 თანამშრომელი.			

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შიდა საქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია, რომელიც იქნება მიმართული ქალაქ რუსთავის მოსახლეობის კმაყოფილებისათვის.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	სატრანსპორტო საშუალების რაოდენობა	2018 წ. ქალაქს ემსახურება 20 ერთეული ავტობუსი	2019 წ. ქალაქს მოემსახურება 20 ერთეული ავტობუსი	2%	

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა			დაფინანსება ათას ლარებში	
	02 08				2019 წელი	356,5
					2019-2022 წელი	2 026,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური					
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობების, გზების და სხვა ობიექტებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა.					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში, ელექტრონული ტენდერის საშუალებით მოხდება საპროექტო ფირმის შერჩევა, რომელიც 2019 წლის მანძილზე სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად დააპროექტებს ობიექტებს, რომლის შემდგომაც მნიშვნელოვანი და საჭირო პროექტები იქნება მზად და ფინანსების მოძიების შემდგომ უმოკლეს ვადებში მოხდება მათი განხორციელება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება	
	შეძენილი პროექტების რაოდენობა	2018წლის ბოლომდე დაგეგმილია 65 პროექტის შეძენა	2019 წელს პროექტები შეძენილი იქნება საჭიროებიდან გამომდინარე	0%		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	დაფინანსება ათას ლარებში		
	02 09		2019 წელი	520,0	
			2019-2022 წელი	2 820,0	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური				
პროგრამის აღწერა	1. პროგრამის ფარგლებში მოხდება დაქირავებული კომპანიის მიერ, შესრულებული სამუშაოების(ფორმა N2) და საპროექტო სამუშაოების (პროექტების-ხარჯთაღრიცხვების,ნახაზების) ინსპექტირება. 2. პროგრამის ფარგლებში მოხდება სამხარაულის ექსპერტიზის მიერ შესრულებული სამუშაოების (ფორმა N2) ექსპერტიზის ჩატარება				
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	1. პროგრამის მიზანია სრულყოფი პროექტების დამზადების პროცესი და მინიმუმადე იყოს დაყვანილი დაპროექტების სტადიაზე შესაძლო შეცდომები, რაც პროექტს მაქსიმალურად დაახლოებს არსებულ რეალობასთან, შემრულებელს გაუმარტივებს საქმეს და მინიმალური დანახარჯებით მოხდება პროექტების განხორციელება. ასევე შეამცირებს მზა პროექტებში ცვლილებების რაოდენობას. რაც შეეხება შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას, აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვას, საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღებას და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას. 2. პროგრამის მიზანია საბოლოო ეტაპზე ხარისხიანი სამუშაოს მიღების უზრუნველყოფა და გაწეული ხარჯების ოპტიმიზაცია.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება

ინსპექტირებული პროექტები	2018 წელს დაევალა საზედამხებდველო კომპანიას 36 ხელშეკრულებაზე ინსპექტირება	2019 საჭიროების შესაბამისად	0%	საზედამხებდველო კომპანიას ინსპექტირება ევალება 50000 ლარს ზემოთ გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე და ასევე საპროექტო ხელშეკრულებების ინსპექტირებაზე
	2018 წელს დაევალა საზედამხებდველო კომპანიას 16 ხელშეკრულებაზე ინსპექტირება	2019 საჭიროების შესაბამისად		

დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალდ არის სამრეწველო ობიექტები, აქედან გამომდინარე დიდ მნიშვნელობას იძენს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა; მწვანე საფარის ინტენსიური ზრდა და არსებულის მოვლა-პატრონობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქის განვითარებისათვის, ამასთან ერთად უსაფრთხო გარემო და სანიტარული მდგომარეობის ყოველწლიური გაუმჯობესება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	5 183,1	5 348,6	5 522,8	5 706,6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3 566,0	3 669,2	3 777,5	3 892,1
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	1 484,5	1 541,7	1 602,2	1 665,8
03 03	უპატრონო ცხოველების ოპერირება	132,6	137,7	143,1	148,7

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარებში	
	03 01		2019 წელი	3 566,0
			2019-2022 წელი	14 904,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აიკი "რუსთავესერვის ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქში კომფორტული გარემოს შექმნისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. შესაბამისად საჭიროა ქალაქის ტერიტორიის ყოველდღიური დასუფთავება და ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან. არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერების მოვლა-პატრონობა, რაც გულისხმობს დაახლოებით ყოველდღიურად 85 ტონა მოცულობის ნარჩენების გატანას, აღნიშნულ მომსახურებას ემსახურება 11 სპეც.მანქანა, ასევე ყოველდღიურად ხდება 1686700 კვ/მ ტერიტორიის დასუფთავება და შეგროვებული ნარჩენების გატანა შ.პ.ს "საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია"-ს ტერიტორიაზე. ასევე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ტექნიკური მარლის მოყრა სავალ პერიმეტრზე. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 368 თანამშრომელი და პროგრამა მოიცავს სამსახურის ფონქციონირებისათვის ყველა საჭირო ხარჯს.			

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	წლის განმავლობაში მოვლილი და დასუფთავებული ქალაქი, ყინვისა და თოვლის დროს უსაფრთხო გზები.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	წლის განმავლობაში დასუფთავებული ტერიტორიის საერთო ფართობი	2018 წელი 1686700 მ/კვ	2019 წელს შენარჩუნებული იქნება საბაზისო მაჩვენებელი და გაიზრდება საჭიროების შესაბამისად	6%	
	წლის განმავლობაში ქალაქის ტერიტორიიდან გატანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები	2018 წელი 30233 ტონა	2019 წელი 31000 ტონა	6%	
	შეკეთებული ნაგვის ურნები	2018 წელს შეკეთდა 50 ცალი	2019 წელს შეკეთდება საჭიროების შესაბამისად	6%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში		
	03 02		2019 წელი	1 484,5	
			2019-2022 წელი	6 294,2	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ "რუსთავესერვის ცენტრი"				
ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქის განვითარებისა და ეკოლოგიისთვის მნიშვნელოვანი როლი უკავია მწვანე საფარის მოვლა-პატრონობას. შესაბამისად აუცილებელია ყოველდღიურად მწვანე საფარის მოვლა, მორწყვა, განახლება, რაც გულისხმობს სეზონზე ხეებისა და ყვავილების დარგვას, ბალახის დათესვას, ხეების შეთეთრებას, მოჭრა-გადაბეღვას. ხდება სარწყავი სისტემის ექსპლოატაცია. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 195 თანამშრომელი				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი მწვანე ნარგავები და განახლებული მწვანე საფარი. წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირებს სარწყავი სისტემა.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	ქალქში არსებული ხეების რაოდენობა	2018 წელს 120000 ცალი	2019 წელს 123000 ცალი	7%	
	სათბურში გამოყვანილი ყვავილები	2018 წელს 35000 ცალი	2019 წელს 40000 ცალი	7%	
	სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია	2018 წელს 18500 მ	2019 წელს 19500 მ	7%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება	დაფინანსება ათას ლარებში	
	03 04		2019 წელი	132,6
			2019-2022 წელი	562,1

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ "რუსთავსერვის ცენტრი"				
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანა, კასტრაცია-სტერილიზაციის მიზნით და ასევე ხდება ძაღლების მარკირება. აღნიშნულ პროგრამას ემსახურება 13 თანამშრომელი				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში უსაფრთხო გარემოს შექმნა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	მარკირებული ძაღლები	2018 წელს 669 ცალი	2019 წელს 550 ცალი		

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ბავშვთა კვების რაციონს, ასევე ეტაპობრივად მიმდინარეობს ბაღების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	8 011,2	10 239,9	12 218,0	13 370,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	7 247,0	9 393,0	9 850,0	10 201,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	245,1	130,0	1 200,0	1 500,0
04 03	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	473,0	467,0	468,0	469,0
04 04	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	46,1	249,9	700,0	1 200,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 01		2019 წელი	7 247,0
			2019-2022 წელი	36 844,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება			

ქვეპროგრამის აღწერა	ქალაქ რუსთავში ამჟამად ფუნქციონირებს 21 სააღმშრდელო დაწესებულება (ბაგა-ბადი) ჩარიცხული 6490 აღსაზრდელით, რაც აკმაყოფილებს ქალაქში არსებულ ბაგა-ბაღებში ჩასარიცხ მსურველთა (8200) 79% -ს (დასაკმაყოფილებელია 1700 -მდე აღსაზრდელი), ბაგა-ბაღებში 2-3 და 3-4 წლიანთა აღსაზრდელთა ჩარიცხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისათვის, ელექტრონული წესით, ხოლო 4-5 და 5-6 წლიანების ჩარიცხვა (თავისუფალი ადგილების შემთხვევაში) - განცხადებით. ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მომსახურებას უწევს: 21 გამგე, 21 მენეჯერი, 21 ფსიქოლოგი, 4 ლოგოპედი, 8 სპეც პედაგოგი, 32 მუსიკის ხელმძღვანელი, 220 აღმზრდელი, 192 აღმზრდელის თანაშემწე და 278 სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე ტექ პერსონალი. სულ დასაქმებულია 797 თანამშრომელი. იგეგმება არსებულ შენობებში 7-მდე სააღმშრდელო ჯგუფის აღდგენა, ისარგებლებს დაახლოებით 250 აღსაზრდელი.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმშრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდა განვითარების სტანდარტის დანერგვა ასოცირდება ხარისხიან სკოლამდელ განვითარებასთან, რომელიც ითვალისწინებს აღმზრდელ-პედაგოგთა მაღალ პროფესიულ კომპეტენციებს, ახალ სტანდარტებზე დაყრდნობით შესაბამისი კურსკულუმების შემუშავებას, ყველა ტიპის ბავშვთა ჩართულობას. ბავშვთა აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში, რომლის განხორციელებაც მიმდინარეობს მთავრობის მიერ შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით. დაიწყო და ეტაპობრივად გაგრძელდება ბ/ბაღის გამგეების, აღმზრდელ-პედაგოგების და სხვა პერსონალის ტრენინგები ("პარტის" პროგრამა , "კივიტას გეორგიკას " პროგრამა). ხდება ტრენინგებზე მიღებულ ცოდნათა განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვა. იგეგმება ჯგუფებში ფიზიკური გარემოს მოწყობა ახალი სტანდარტების მიხედვით. ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის მიზნით, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისიდან იგეგმება აღსაზრდელთა კვების რაციონის გაზრდა დამტკიცებულ საშუალო ნორმამდე - 1151 გკალ, რაც მოითხოვს 1 ბ/დღის ღირებულების გაზრდას 1,80 ლარიდან 2,10 ლარამდე, საჭირო თანხის ხარჯვა მოხდება ბიუჯეტით ამ მუხლით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. ამ ქვეპროგრამის შედეგია ჰარმონიულად განვითარებული მომავალი თაობა.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	აღსაზრდელთა რაოდენობა	2018 წელი 6490 აღსაზრდელი	მიზნობრივ მაჩვენებლად რჩება საბაზისო მაჩვენებელი	0%	
	კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი)	2018 წელი 1121 გკალ	2019 წელი 1151 გკალ	3%	2019 წელს იგეგმება N487 დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად აღსაზრდელთა კვების რაციონის ღირებულების გაზრდა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 02		2019 წელი	245,1
			2019-2022 წელი	3 075,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ასევე გამაგრება-გადლიერების სამუშაოები და შიდა ფართების ნაწილობრივი რეაბილიტაცია. დღეის მდგომარეობით ქალაქში ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, რომელთაგან 2 სრულად რეაბილიტირებულია, დანარჩენი საჭიროებს რეაბილიტაციას სხვადასხვა მასშტაბით. 2017 წელს აშენდა ახალი 1 საბავშვო ბაღი. 2019 წლის ბიუჯეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ჯამური თანხა სავარაუდოდ შეადგენს 142.3 ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 102.0 ათ. ლარი. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები. 1) N36 ბაღში დარჩენილი ფანჯრების და ვიტრაჟების შეცვლა 2) N25 ბავშვ-ბაღის გამაგრება-გადლიერება-ორწლიანი ხელშეკრულება 3) N8 ბავშვ-ბაღის გამაგრება-გადლიერება-ორწლიანი ხელშეკრულება 4) 5 საბავშვო ბაღის შემოღობვის სამუშაოები. 2019 წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა ბაღების მოწყობა/რეაბილიტაცია.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში მოხდა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც ბევრად უსაფრთხო, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლამდელ დაწესებულებებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება დამატებით სამი ბაღის გამაგრება/გადლიერება და შიდა ფართის ნაწილის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ სკოლამდელი დაწესებულებები გახდება ბევრად უსაფრთხო, კომფორტული და მიმზიდველი მოსწავლეებისათვის და მომსახურე პერსონალისთვის.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	რეაბილიტირებული სკოლამდელი დაწესებულებები	2018 წელს 9 ფილიალში მოხდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები	2019 წელს იგეგმება 5 საბავშვო ბაღის შემოღობვა და 1 საბავშვო ბაღში ფანჯრების შეცვლა, ასევე 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების დასრულება	5%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	04 03		2019 წელი	473,0
			2019-2022 წელი	1 877,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	აიიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“			
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ემსახურება ქალაქ რუსთავეში რეგისტრირებულ, 2 წლიდან 33 წლამდე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი მომსახურებები: - ადრეულ ასაკში (0-დან 7 წლამდე) მულტიდისციპლინური გუნდების (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეც-პედაგოგი), და სამედიცინო კომისიის (ნევროლოგი, თერაპევტი, ფიზიოთერაპიტი) მიერ ხდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უნარებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, შესაბამისი მიმართულების მიცემა და მომსახურების შეთავაზება; - 6 წლიდან 18 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სასკოლო ასაკში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა; - 18 წლიდან 33 წლამდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება, რისთვისაც ცენტრში ხდება ბენეფიციართა სხვადასხვა სახის შრომით თერაპიებში ჩართვა (ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფისთვისაა ფუნქციონირებს პურ-ფუნთუშეულის საცხობი, ინტეგრირებული სამზარეულო, სამრეცხაო ოთახი, მინი ბოსტანი) ბენეფიციართა საელო რაოდენობის 70 % სარგებლობს ცენტრის მომსახურების სრული პაკეტით მთელი დღის განმავლობაში და მათთვის გათვალისწინებულია ორჯერადი კვება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ემსახურება 67 თანამშრომელი, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალი - 7 თანამშრომელი, პედაგოგი - 16 თანამშრომელი, სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მასაჟისტი, სხვადასხვა პროფესიის თერაპევტები) - 20 თანამშრომელი, დამხმარე პერსონალი - 24 თანამშრომელი (მათ შორის დასაქმებულია ცენტრის ყოფილი 2 ბენეფიციარი)			

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოებაში ინტეგრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	ადრეულ ასაკში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ლოგოპედური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დიაგნოსტიკა და სისტემატიური კონტროლის, ჩატარებული თერაპიების, შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა	2018 წლის მონაცემებით - 73 ბენეფიციარი	გაზრდილი მომართვიანობიდან გამომდინარე 2019 წელს - 80 ბენეფიციარი	4% - დამოკიდებულია ბენეფიციართა მომართვიანობაზე	
	პროგრამის ხელშეწყობით საჯარო სკოლებში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობის გაზრდა	2018 წლის მონაცემებით - 75 ბენეფიციარი	2019 წელს - 90 ბენეფიციარი	10% - დამოკიდებულია ბენეფიციართა მომართვიანობაზე	
	დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით, ცენტრის შრომით აქტივობებში ჩართული ბენეფიციარები	გასული წლების საშუალო მაჩვენებელი - 20 ბენეფიციარი	2019 წელს - 25 ბენეფიციარი	10% - დამოკიდებულია ცენტრის ბენეფიციართა სურვილზე	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში		
	04 04		2019 წელი	46,1	
			2019-2022 წელი	2 196,0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება საშუალო სკოლების შენობების და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაცია. სკოლებში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორები წარმოადგენენ მათთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარების პროექტებს, რომელთა შერჩევა მოხდება პრიორიტეტულობის მიხედვით და განხორციელდება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. N7 სკოლის შემოღობვის რეაბილიტაცია				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში მოხდება საშუალო სკოლის შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია, რაც ბევრად უსაფრთხო, კომფორტულს და მიმზიდველს გახდის სკოლებს. კომფორტული გარემო ხელს შეუწყობს მომავალი თაობის ჰარმონიული განვითარებას.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საშუალო სკოლების რაოდენობა რომლებსაც ჩაუტარდათ რეაბილიტაცია	1 სკოლის სპორტდარბაზი	1 სკოლის შემოღობვა	5%	სკოლების მოვლა-პატრონობა გადმოეცა მუნიციპალიტეტს 2018 წელს და შესაბამისად ხარჯები გათვალისწინებულია 2019 წლიდან.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენებისა და ხელოვნების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება.

პროგრამ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2019 წლის პროექტი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	7 361,7	7 500,3	8 350,7	9 687,4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3 159,3	3 005,0	3 228,5	4 249,9
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 045,6	1 086,5	1 103,5	1 120,9
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	821,8	1 168,5	1 375,0	1 629,0
05 01 03	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 291,9	750,0	750,0	1 500,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3 811,2	3 961,6	4 521,7	4 811,5
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	3 135,6	3 033,3	3 456,7	3 690,0
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების დაფინანსება	812,0	759,5	768,2	773,0
05 02 01 02	თეატრის ხელშეწყობა	270,0	266,0	270,0	275,0
05 02 01 03	მუზეუმის ხელშეწყობა	332,2	338,5	365,0	365,0
05 02 01 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	665,6	913,3	949,0	1 103,5
05 02 02	კულტურული ღონისძიებების განხორციელება	1 721,4	1 669,3	2 053,5	2 277,0
05 02 03	კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	0,0	100,0	0,0
05 02 04	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	10,0	15,0	16,0	18,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	391,2	533,8	600,5	626,0
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერის ღონისძიებები	291,2	430,8	497,5	523,0
05 03 02	ინიციატივების თანადაფინანსება	100,0	103,0	103,0	103,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01		2019 წელი	3 159.3
			2019-2022 წელი	13 642.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური, ა(ა)იპ "სახელეწიფო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი", არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები" და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991",			

პროგრამის აღწერა	1. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“-ს დაფინანსება რუსთავის მუნიციპალიტეტიდან. თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“-ს, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“ ს მორაგბეების, ადმინისტრაციის და მწვრთნელების ხელფასს. 2. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"-ის დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით., საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის თანხები ხმარდება კალათბურთელთა და მწვრთნელთა ხელფასებს, გუნდის შეკრებებს და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელ სხვა ხარჯებს, ასევე შპს-ს ადმინისტრაციის პერსონალის ხელფასს და ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ხარჯებს. 3) ცენტრი გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში ცენტრი გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას ცენტრი უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 23 სპორტის სახეობის მიმართულებით 10 სპორტულ ობიექტზე 71 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (12 დან - 25 წლამდე) 1600 ზენეფიცირს ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ 4) რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სპორტული მოედნები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ლოკაციაზე მინი სპორტული მოედნები მოწყობა, ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის მოწყობა. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები. 1) მესხიშვილის N16-ის და ლეონიძის N12,14 კორპუსებს შორის მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 2) მეგობრობის N2-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 3) მეგობრობის N10-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 4) თბილისის N2-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 5) თოდრის III ჩიხის N1 მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 6) მეგობრობის N35-37 კორპუსებთან მინი სპორტული მოედნის მოწყობა 7) მესხიშვილის N11-13 კორპუსებთან მინი სპორტული მოედნის მოწყობა 8) ფიროსმანისა და კომუნალების ქუჩების კვეთაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 9) ტაშკენტის N5-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 10) დონეც. მეტალურგთა I გასასვლის N3-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 11) XXI მიკრორაიონის N3 საცხოვრებელი კორპუსის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 12) კოსტავას N21 მ/ტ-ზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 13) მშენებელთა ქუჩა N28-30 და გომელაურის ქუჩა N1-3 საცხოვრებელი კორპუსებს შორის მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 14) XI მიკრორაიონის N1 საცხოვრებელი კორპუსის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 15) ნიკალაძის ქუჩის მიმდებარეთ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 16) კულტურისა და დასვენების პარკში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის მოწყობა-ახლის მოწყობა. 17) რუსთაველის N50-ში მრავალფუნქციური მოედანი-ახლის მოწყობა. 18) დარჩენილი დაუსრულებელი სამი სტადიონის მოწყობა/რეაბილიტაცია 19) კრივის დარბაზის რეაბილიტაცია 2019 წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა მისამართებზე სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“-ს წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე. საკალათბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ტურნირებში, ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება (2018წელში დაიკავა მე-4 ადგილი, 2019წელში მიზანს წარმოადგენს საპრიზო სამეულში მოხვედრა.

სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით მოყვარულების და სპორტსმენების მეტი რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა ღონისძიებებში, ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა და მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სპორტის სახეობების მიმართულებით სპორტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა, საჭირო სპორტული ინვენტარის და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება პროგრამის ფარგლებში აღდგენილ იქნება 8 და ახლად მოწყობილი 11 სპორტული მოედანი და 1 სპორტულ გამაჯანსაღებელი კუთხე. ასევე რეაბილიტირდება კრივის დარბაზი. შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო ახალგაზრდებისთვის, სადაც შეძლებენ დაკავდნენ სპორტის რამდენიმე სახეობით. მოიმატებს სპორტით დაინტერესებული მომავალი თაობის რაოდენობა და დაინერგება ჯანსაღი ცხოვრების წესი ახალგაზრდებში.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში	ეროვნულ ჩემპიონატში მე 6 ადგილი	ეროვნულ ჩემპიონატში ფლეი-ოფში გასლა და საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა	2%	ქვეპროგრამის განმახორციელებელია რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“
	სატურნირო ცხრილში ადგილის მაჩვენებელი (პოზიცია)	4	3	25%	ქვეპროგრამის განმახორციელებელია "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"
	მოგებული თამაშების რაოდენობა (საერთო თამაშებიდან %)	0,7	0,72	3%	ქვეპროგრამის განმახორციელებელია "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"
	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა	2018 წელი 13	2019 წელი 34	0%	ღონისძიებები დაგეგმილია და უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით
	სპორტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა	2018 წელი 1600	2019 წელი 2000	50%	მოლოდინი გამოწვეულია ახალი სპორტული ობიექტის მშენებლობით. ცდომილება შეიძლება გამოწვეული იყოს არასაკმარისი ან გაუმართავი ინფრასტრუქტურით
	მოწყობილი-რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა	2018 წელს მოეწყო 11 მისამართზე	2019 წელს მოეწყობა/რეაბილიტირდება 21 მისამართზე სპორტული ინფრასტრუქტურა.	5%	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 01		2019 წელი	1 045,6
			2019-2022 წელი	4 356,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები" და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"			

ქვეპროგრამის აღწერა	1. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“-ს დაფინანსება რუსთავის მუნიციპალიტეტიდან. თანხები სუბსიდიის სახით მიეცემა ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“-ს, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის ხარჯები ხმარდება ააიპ რაგბის კლუბი "რუსთავის ხარები" ს მორაგბეების, ადმინისტრაციის და მწვრთნელების ხელფასს. 2. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"-ის დაფინანსება მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით, საიდანაც ხორციელდება კლუბის ხარჯების დაფინანსება. სუბსიდიის თანხები ხმარდება კალათბურთელთა და მწვრთნელთა ხელფასებს, გუნდის შეკრებებს და ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელ სხვა ხარჯებს, ასევე შპს-ს ადმინისტრაციის პერსონალის ხელფასს და ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ხარჯებს.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	1.ააიპ რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“-ს წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე. 2.გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ და შემდგომ საერთაშორისო ტურნირებში, ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილის დაკავება (2018წელში დაიკავა მე-4 ადგილი, 2019წელში მიზანს წარმოადგენს საპრიზო სამეულში მოხვედრა.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში	ეროვნულ ჩემპიონატში მე 6 ადგილი	ეროვნულ ჩემპიონატში ფლეი-ოფში გასლა და საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა	2%	ქვეპროგრამის განმახორციელებელი რაგბის კლუბი „რუსთავის ხარები“
	სატურნირო ცხრილში ადგილის მაჩვენებელი (პოზიცია)	4	3	25%	ქვეპროგრამის განმახორციელებელი "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"
	მოგებული თამაშების რაოდენობა (საერთო თამაშებიდან %)	70%	72%	3%	ქვეპროგრამის განმახორციელებელი "საკალათბურთო კლუბი - რუსთავი 1991"

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 02		2019 წელი	821,8
			2019-2022 წელი	4 994,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "სახელმწიფო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი"			
ქვეპროგრამის აღწერა	ცენტრი გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში ცენტრი გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ასევე ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას ცენტრი უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 23 სპორტის სახეობის მიმართულებით 10 სპორტულ ობიექტზე 71 მწვრთნელის მეშვეობით, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს (12 დან - 25 წლამდე)1600 ბენეფიციარს ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს და ახორციელებს მათ სტიპენდირებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ სექციებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას , როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ			
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით მოყვარულების და სპორტსმენების მეტი რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა ღონისძიებებში, ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა და მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სპორტის სახეობების მიმართულებით სპორტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა, საჭირო სპორტული ინვენტარის და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება			

	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა	2018 წელი 13	2019 წელი 34	0%	ღონისძიებები დაგეგმილია და უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით
	სპორტულ სექციებზე ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა	2018 წელი 1600	2019 წელი 2000	50%	მოლოდინი გამოწვეულია ახალი სპორტული ობიექტის მშენებლობით. ცდომილება შეიძლება გამოწვეული იყოს არასაკმარისი ან გაუმართავი ინფრასტრუქტურით

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 01 03		2019 წელი	1 291,9
			2019-2022 წელი	4 291,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა	რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის სპორტული მოედნები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენა-რეაბილიტაციას, ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა ლოკაციაზე მინი სპორტული მოედნები მოწყობა, ასევე სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის მოწყობა. 2019 წლის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია 2018 წლის ხელშეკრულებებიდან დაკავებული 2.5 %-ები. 1) მესხიშვილის N16-ის და ლეონიძის N12,14 კორპუსებს შორის მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 2) მეგობრობის N2-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 3) მეგობრობის N10-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 4) თბილისის N2-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 5) თოდრიის III ჩიხის N1 მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 6) მეგობრობის N35-37 კორპუსებთან მინი სპორტული მოედნის მოწყობა 7) მესხიშვილის N11-13 კორპუსებთან მინი სპორტული მოედნის მოწყობა 8) ფიროსმანისა და კომუნალების ქუჩების კვეთაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 9) ტაშკენტის N5-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 10) დონეცკ. მეტალურგთა I გასასვლელის N3-ის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 11) XXI მიკრორაიონის N3 საცხოვრებელი კორპუსის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 12) კოსტავას N21 მ/ტ-ზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 13) მშენებელთა ქუჩა N28-30 და გომელაურის ქუჩა N1-3 საცხოვრებელი კორპუსებს შორის მინი სპორტული მოედნის მოწყობა-ახლის მოწყობა. 14) XI მიკრორაიონის N1 საცხოვრებელი კორპუსის მ/ტ მინი სპორტული მოედნის მოწყობა-არსებულის რეაბილიტაცია 15) ნიკალაძის ქუჩის მიმდებარეთ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 16) კულტურისა და დასვენების პარკში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის მოწყობა-ახლის მოწყობა. 17) რუსთაველის N50-ში მრავალფუნქციური მოედანი-ახლის მოწყობა. 18) დარჩენილი დაუსრულებელი სამი სტადიონის მოწყობა/რეაბილიტაცია			

	19) კრივის დარბაზის რეაბილიტაცია 2019 წლის მანძილზე გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა მისამართებზე სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია.				
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში აღდგენილ იქნება 8 და ახლად მოწყობილი 11 სპორტული მოედანი და 1 სპორტულ გამაჯანსაღებელი კუთხე. ასევე რეაბილიტირდება კრივის დარბაზი. შეიქმნება კომფორტული და ჯანსაღი გარემო ახალგაზრდებისთვის, სადაც შეძლებენ დაკავდნენ სპორტის რამდენიმე სახეობით. მოიმატებს სპორტით დაინტერესებული მომავალი თაობის რაოდენობა და დაინერგება ჯანსაღი ცხოვრების წესი ახალგაზრდებში.				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	განმარტება
	მოწყობილი-რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა	2018 წელს მოეწყო 11 მისამართზე	2019 წელს მოეწყობა/რეაბილიტირდება 21 მისამართზე სპორტული ინფრასტრუქტურა.	5%	

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში	
	05 02		2019 წელი	3 811,2
			2019-2022 წელი	17 106,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირი "სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი", არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირი "გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი", არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირი "რუსთავის ისტორიული მუზეუმი" არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა"			
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრი სახელოვნებოს განათლების მიმართულებით თავის საქმიანობას ახორციელებს 5 სახელოვნებო სკოლაში, შესაბამისი ადმინისტრაციით და 159 პედაგოგის მეშვეობით 1300 სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარისთვის. ცენტრი ხელს უწყობს წარმატებულ მოსწავლეებს და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ ცენტრი წლის განმავლობაში გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს სახელოვნებო მიმართულების, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ სახელოვნებო სკოლების ბენეფიციარები არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირი "გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი" პროგრამის ფარგლებში ახორციელებს 4 სარეპერტუარო (3 დრამატული და 1 საბავშვო სპექტაკლი) სპექტაკლის დადგმას, ასევე თეატრალური ფორუმის დაფუძნებას (2020 წლისთვის თეატრალური ფორუმისთვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება), აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ემსახურება 92 ადამიანი, აქედან 40 მსახიობი და 52 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.			
